„უკეთესი ცხოვრება“ საბჭოთა პლაკატების სლოგანებიდან

A BETTER LIFE" FROM THE SLOGANS OF SOVIET POSTERS

ეკა თხილავა
ასოცირებული პროფესორი;
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Eka Tkhilava
Georgia, Associate Professor
Caucasus International University;
Email: eka.tkhilava@ciu.edu.ge;
ORCID: 0009-0002-9384-0940

ლილე ქობალიანი
დოქტორანტი
ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია
ელ.ფოსტა – lilekobaliani@edu.ulisboa.pt
Lile Kobaliani
PhD students
University of Lisbon Portugal
Email: lilekobaliani@edu.ulisboa.pt
ORCID: 0009-0001-0913-9346

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილი და მიმოხილულია ის საბჭოთა პლაკატები, რომელთა სლოგანებმაც ბევრი რამ შეცვალეს საბჭოთა რეალობაში. ლეშეკ კუმორი, პოლონელი მწერალი, რომელსაც თავადაც გამოცდილი აქვს საბჭოთა წნეხი, წერდა - „პროპაგანდის და აგიტაციის ტყუილი სიმართლეს ამბობს სახელმწიფო სისტემის შესახებ“. სწორედ ეს ტყუილ-მართალია სტატიის შესწავლის საგანი; რა ამოძრავებდა და რატომ საბჭოთა პლაკატს? რა ცინიკურ ქვეტექსტებს შეიცავდა? რატომ ეფუძნებოდა ძირითადად სახარებისეულ ცნებებს საბჭოთა სლოგანები?
პასუხები ამ კითხვებზე გვაჩვენებს და გვიდასტურებს, რომ რაც უფრო ხმაურით და შეფარული ქვეტექსტებით არის გაჯერებული პროპაგანდა, მით უფრო საშინელი შედეგები მოაქვს მას მოქალაქეებისთვის (ვილჰელმ შვებელი).

საკვანძო სიტყვები: პლაკატი, სლოგანი, აგიტაცია, კოლექტივი, საბჭოთა, ორგანიზატორი, გაზეთი, სისტემა, მოქალაქე, რეალობა.

Abstract

This paper examines and reviews precisely those Soviet posters whose slogans brought about significant changes in Soviet reality. Leszek Kumor, the Polish writer, who himself experienced the pressures of the Soviet system, wrote: "The lie of propaganda and agitation tells the truth about the state system." It is precisely this interplay of truth and falsehood that constitutes the subject of this article's inquiry: What motivated the Soviet poster, and why? What cynical subtexts did it contain? Why were Soviet slogans grounded primarily in biblical concepts?
The answers to these questions demonstrate and confirm that the more propaganda is saturated with noise and concealed subtexts, the more terrible the consequences it brings upon citizens (Wilhelm Schwebel).

Keywords: poster, slogan, agitation, collective, Soviet, organizer, newspaper, system, citizen, reality.

შესავალი

ჩვენი საკვლევი სფეროა იდეოლოგიური პლაკატების იკონოგრაფიული რეპრეზენტაცია საბჭოთა კავშირში, რომელმაც შეცვალა მასების კულტურული თუ ფსიქოლოგიური განწყობები.

იმისათვის, რომ ჩვენი კვლევა სიღრმისეული და საინტერესო ყოფილიყო, გამოვიყენეთ **თვისებრივი კვლევის მეთოდები** - ისტორიული და კომპარატიული მიდგომა, დოკუმენტთა ანალიზი, ვიზუალური მასალის ანალიზი, დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა ლოგიკური და ობიექტური შეფასებები.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ, რა გავლენა მოახდინა და როგორი კვალი დატოვა საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური პლაკატების დისკურსმა და მისმა იკონოგრაფიამ საბჭოთა ადამიანზე.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების ფონზე მივედით იმ **შედეგამდე**, რომ საბჭოურ იდეოლოგემებს შორის ერთ-ერთი პარადიგმული ადგილი უჭირავს პლაკატს და პლაკატურ დისკურსს.

„ვაშა კომუნას“!

„გვინდა კომუნა... ვაშა კომუნას!
თუ მაინც ბედი იცვალა ბნელით,
და გრძნობა მშვენი მიეცა დროს შავს -
ჩვენ სისხლის წვეთით - უკანასკნელით -
დავიცავთ ჩვენი კომუნის დროშას!“
გალაკტიონი; *„პარიზის კომუნა“*

საბჭოთა პლაკატებს ახსოვს ბევრი ამორფული და წინააღმდეგობრივი ფრაზა, რომელიც თავის თავში მოიცავდა იმ ეპოქის ტყუილ-მართალს.
პლაკატის უმთავრესი მისიაც ეს იყო - დაუჯერებლის დაჯერება; გაუგონრის გაგონება; აბსურდის რეალურად წარმოჩენა.
პლაკატი ერთგვარი აგიტატორიც იყო!
აგიტატორი მედიის ფურცლებიდან, რომელსაც მილიონობით ადამიანის ცხოვრებაზე თვალთვალიც ევალებოდა და - დარაჯიც.
ერთ-ერთ საბჭოთა პლაკატს ასეთი საინტერესო სლოგანი ჰქონდა - „გაზეთი არა მხოლოდ კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიცაა!“
აქედან ამოდის როგორც საბჭოთა გაზეთის, საბჭოთა პლაკატის აზრიცა და დედააზრიც. ისინი კოლექტიურ ორგანიზატორებად მოიაზრებოდნენ საბჭოთა რეალობაში.
ამიტომ ყველა პლაკატი თავის თავში მოიცავდა პროპაგანდას, აგიტაციას და კიდევ რაღაც მეტს, სახიფათოს.
ამ პლაკატებიდან კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩინდა, როგორ დაიკარგა ინდივიდი და იქცა კომუნის - საერთოს, კოლექტივის ნაწილად.
დაირღვა და დაიკარგა მერაბ მამარდაშვილისეული - „ადამიანად ყოფნის ძალისხმევა“ (1); ცხადია, ინდივიდი არ იბადება საბოლოო სახით; ის მუდმივად იბადება საკუთარი აზროვნების, არჩევანისა და ქმედებების საშუალებებით. სწორედ ეს პროცესი დაირღვა საბჭოთა რეალობაში და ადამიანმა დაკარგა პიროვნული სახე; იქცა ინერტულ, მასობრივ არსებად.
„საბჭოთა ადამიანს“ - ე.წ. „სოვოკს“ ტოტალიტარული რეჟიმი ახშობდა და მასის ნაწილად აქცევდა.
ცხადია, ბრბო და მასა აზროვნების მტერია; ამიტომაც იმეორებდა გალაკტიონიც დაჟინებით - „გვინდა კომუნა! ვაშა კომუნას“! (2)
მაშასადამე, ინდივიდი ვეღარ გამოეყოფოდა მასას; შესაბამისად, აღარც ღირსება ნარჩუნდებოდა და აღარც - დამოუკიდებელი ხედვა.
მეტიც, „სოვოკს“ ეკრძალებოდა დამოუკიდებელი აზროვნება; დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება.
ეს პროცესი მტკივნეულად აისახა საბჭოთა პლაკატებში; პირდაპირი ხაზით აჩვენებდა ადამიანის დეგრადირებას, დაცემას, უარს ინდივიდუალურ აზროვნებაზე.
არადა, „იმისთვის, რომ იყოს აზრი, საჭიროა სიბნელე, რომელიც აზროვნებას აიძულებს“ (მ. მამარდაშვილი).
სიბნელე უდავოდ იყო, მაგრამ ინდივიდუალური აზროვნება არ არსებობდა, რადგან ადამიანი იყო დათრგუნული და შეშინებული.
პასუხისმგებლობაც კი კოლექტიური იყო.
ამას არაერთი საბჭოთა პლაკატიც ადასტურებს.
ადასტურებს, რომ იძულებით თუ ნებაყოფლობით უნდოდათ „კომუნა“ და კოლექტიური არსებობა.
ასე უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა თავს საბჭოთა ადამიანი!
„სწავლა! სწავლა და სწავლა“



პლაკატი N1: რომ ააშენო უნდა ისწავლო...

საბჭოთა ადამიანს უპირველესად დაუსახეს „სწავლა, სწავლა და სწავლა“. ლენინისეული შეგონება არ იყო შემთხვევითი; რევოლუციის შემდგომი პერიოდი - გაუსაძლისი შიმშილისა და სიცივის ეპოქა კიდევ უფრო ართულებდა პროცესს; ხელისუფლებას ესმოდა, რომ თავადაზნაურული ინტელიგენციისა და მოაზროვნე ნაწილის განადგურების შემდეგ უპირველესად საჭირო ხდებოდა ახალი ტიპის პოსტრევოლუციური ინტელიგენტის - ანუ განათლებული „სოვოკის“ დაბადება. მხოლოდ მუშათა და გლეხთა კლასით წინ ვერ წავიდოდა.


ურთულესი პროცესი იყო!

მიხაკო წერეთელს რომ დავესესხოთ, პოსტრევოლუციურმა პერიოდმა შვა ხალხი, რომელმაც დაკარგა ეროვნული ნიშანი და „სოციალურ მასალად“ იქცა (მიხაკო წერეთელი; „ერი და კაცობრიობა“) (3).

სწორედ ამ „სოციალური მასალის“ „გაინტელიგენტება“ და განათლება იყო საბჭოთა ხელისუფლების უპირობო ამოცანა.

1919 წელს დაიწყო სსრკ-მ ევროპაში ყველაზე მასშტაბური საზოგადოებრივი კამპანია გაუნათლებლობის აღმოსაფხვრელად. შეიქმნა მრავალი პლაკატიც განათლების თემაზე.

ერთ-ერთი იყო 1958 წელს ა. ლებედინსკისა და ს. შუხმანის მიერ შექმნილი პოსტერი - „რომ აშენო, უნდა იცოდე; რომ იცოდე, უნდა ისწავლო“! (4)
ახალგაზრდა, ძლიერი საბჭოთა „სოვოკია“ გამოსახული პლაკატზე; ლამფის შუქზე ჩაჰკირკიტებს წიგნებს საბჭოთა ინჟინერი ინდუსტრიის მშენებლობის ფონზე; იდეა მარტივია და გასაგები - ისწავლე დაჟინებით, მოთმინებით, მტრისა და მოყვრისგან. ისწავლე, რათა მტრებმა არ დაგვცინონ ჩამორჩენილობისა და უმეცრების გამო...
აქ საბჭოთა ადამიანის მთელი კომპლექსები და შიშები ჩანს - არ აჯობონ!
არ შერცხვნენ!



პლაკატი N2: დავეწიოთ და გავუსწროთ...

არ წააგონ!
ლენინიც ამას ჩასჩიჩინებდათ და ახალგარდაცვლილი სტალინიც ამასვე იმეორებდა - ვისწავლოთ, რათა სხვებს არ ჩამოვრჩეთ.
„სხვაში“, ცხადია, მოიაზრებოდა კაპიტალისტური ევროპა და განსაკუთრებით - ამერიკა.
ამიტომაც მიეძღვნა სწორედ ამერიკას არაერთი პლაკატი; მათ შორის უპირველესია რევოლუციის მხატვართა ასოციაციის მიერ 1929 წელს შექმნილი საბჭოთა

პროპაგანდისტული პლაკატი - „ვინ გაიმარჯვებს? დაეწიე და გაუსწარი“ (5); მისი აღწერა მარტივია და მორგებულია განათლების გზაზე შემდგარ საბჭოთა ადამიანზე -
წინა პლანზე გამოსახულია წითელი ლოკომოტივი ხუთქიმიანი ვარსკვლავით, რომელიც უსწრებს კაპიტალისტური ქვეყნების სიმბოლურ მუქ ლოკომოტივს.



პლაკატი N3: დავეწიოთ აშშ-ს...

ქვედა ნაწილში ნაჩვენებია სსრკ-სა და კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების ზრდის ტემპების დიაგრამები ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი ინდუსტრიების მიხედვით (ქვანახშირის მოპოვება, ფოლადი, ბამბის ქსოვილის წარმოება, ტრანსპორტირება და ა.შ.).
პლაკატის სლოგანებიც მარტივია: „ან დაიღუპები, ან დაეწიე განვითარებულ ქვეყნებს და ეკონომიკურად გაუსწარი მათ...“
თუმცა, თავად ფრაზა - „დაეწიე და გაუსწარი“ - დასტურია, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნებლიედ აღიარებს კიდეც, რომ არ არის პირველი; ამისთვის ჯერ უნდა დაეწიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს! გასწრება მეორე ეტაპია! ეტაპი, რომელიც უნდა დადგეს!
1958 წლის საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატი კი ნოვოსიბირსკის ფერმის მწველავებს მოუწოდებს, დაეწიონ და გადააჭარბონ შეერთებულ შტატებს (6).
ამ მოწოდებას ორმაგი დატვირთვა აქვს, ფაქტობრივად - ერთი მხრივ, ადამიანებმა და მეორე მხრივ - ძროხებმა უნდა აჯობონ და გადაუსწრონ ამერიკელ მწველავებსა და ცხოველებს - საკუთარი „ცოცხალი“ ხორცით, რძითა თუ კარაქით. პლაკატი ასახავს ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონკურენციის კამპანიას, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა წამოიწყო 1950-იანი წლების ბოლოს.
ასეთი იყო სახელმწიფოს ნება!

ბრიტანელი ფილოსოფოსი - ბერტრან რასელი წერდა - „ყველა ქვეყანაში პროპაგანდას სახელმწიფო აკონტროლებს და იმას წარმოადგენს, რაც სახელმწიფოს მოსწონს. სახელმწიფოს კი მოსწონს ჩვენი მზაობა, ჩავიდინოთ მკვლელობა ბრძანების მიღებისთანავე“ (7).
საბჭოთა პლაკატის პროპაგანდის იდეაც ეს იყო სწორედ - „მკვლელობა ბრძანების მიღებისთანავე!“
ამას ასწავლიდნენ! ამაში იყოს საბჭოთა განათლებისა და განათლებული „სოვოკის“ არსიც!

სამშობლო გვისმენს

„Родина слышит,
Родина знает,
Где в облаках её сын пролетает.“
Евгений Долматовский (8)

1950 წელს დიდმა რუსმა კომპოზიტორმა - დიმიტრი შოსტაკოვიჩმა პოეტ ევგენი დოლმატოვსკის ლექსზე ცნობილი სიმღერა დაწერა -„სამშობლო ისმენს“.
შოსტაკოვიჩზე სტალინი მუდამ შემომწყრალი იყო; აღიარებდა, მაგრამ არასდროს ენდობოდა ბოლომდე. შესაბამისად, კომპოზიტორიც თავის დაცვის რეჟიმში იყო მუდამ; არც დითირამბებს იშურებდა ხელისუფლების მიმართ; „სამშობლო ისმენს“ ერთ-ერთი ხარკი აღმოჩნდა მათ შორის; თუმცა, სათაურში უკვე იდო სახიფათო ქვეტექსტი - „სამშობლო ისმენს“...



პლაკატი N4: სამშობლო გვისმენს

სამშობლო, როგორც მოთვალთვალე და „მოდარაჯე კაცის თვალი“.
ცხადია, საბჭოთა სამშობლომ იცოდა... ისიც იცოდა, როდის დაფრინავდა მისი „ვაჟი“ ღრუბლებში და როდის - მიწაზე; ან რატომ დაფრინავდა და რას ეძებდა ასე სახიფათოდ ღრუბლებში.
სიმღერა, მიუხედავად უამრავი ქვეტექსტისა, მაინც პოპულარული გახდა. იმდენად პოპულარული, რომ პოსტსაბჭოთა პლაკატშიც აისახა - ოღონდ ქვეტექსტი ტექსტად იქცა; პოპულარულმა რუსმა მხატვარმა - ვასია ლოჟკინმა (იგივე ალექსი კუდელინი) 2016 წელს დახატა ორი საბჭოთა „კაგებეშნიკი“ - აგენტი, რომელიც უსმენს (9)- მოქალაქეს უსმენს. სლოგანიც ესაა - „სამშობლო ისმენს“; მელქიორში ჩასმული ჩაის ჭიქა კი საბჭოთა წარსულზე მიანიშნებს.
სამშობლო გვისმენდა! გვისმენს და მოგვისმენს!



პლაკატი N5: დალიე?!

ასეთია ვასია ლოჟკინის პოსტსაბჭოთა პლაკატის დედააზრიც!
საბჭოთა ეპოქაში „სოვოკს“ მოეთხოვებოდა, არ ელაყბა!
„არ ილაყბო! მტერი გისმენს“ (10) - არაერთი საბჭოთა პლაკატის სლოგანია სწორედ!
საბჭოთა კავშირში მტრის ხატისადმი დაუსრულებელი ბრძოლა უპირველესი იყო.
მხატვრებს - ნ. ვატოლინსა და ნ. დენისოვსაც ასე მიაჩნდათ და 1941 წელს დახატეს პლაკატი ტუჩზე თითაფარებული ქალით, რომელიც სიჩუმისკენ მოგვიწოდებდა.
რატომ ქალი, სადავოა?
იქნებ, აქცენტი კეთდებოდა ახალი ამბების გავრცელებისადმი უფრო „მოწყვლად“ სქესზე?
ქალია გამოსახული კიდევ ერთ „საჩოთირო“ საბჭოთა პლაკატზეც - „დალიე? თამამად მოყევი სიმართლე კოლეგების შესახებ - სიის თანახმად“...
კოლეგების მხილება ამჯერადაც ქალის პრეროგატივაა! იგი პლაკატზე გამოსახულია ტრიბუნასთან; ნათალი ჰიქით ჩაიც უდგას წინ, როგორც პოლიტიკური დისკურსის რეკვიზიტი.
ქალი ხშირად არის საბჭოთა პოლიტიკური ვნებების გამხმოვანებელი იმდროინდელ იდეოლოგიზებულ პლაკატებზე.
ქალია მეამბოხეც - თავისი ყოველდღიურობის წინააღმდეგ ამხედრებული.



პლაკატი N6: ძირს სამზარეულოს მონობა!

1931 წელს შექმნა მხატვარმა გრიგორი შეგალმა ერთი ცნობილი პლაკატი - „ძირს სამზარეულოს მონობა! მოგვეცით ცხოვრების ახალი გზა!“ (11)
ქალი, რევოლუციაგამოვლილი, ახალ ყოფას ეძებს. უარს ამბობს სარეცხზე, სამზარეულოზე, ოჯახის მოვლაზე!



პლაკატი N7: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!

ახალი დროის ახალი ემანსიპირებული მოვლენაა და გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიურობისადმი ამბოხებაშია!
ასეთია შეგალის ირონიაც, რეალობაც, სურვილიც - ოდნავ გადაგვარებული რევოლუციის პირმშო დაგვანახოს ახალი იდეალებითა და მისწრაფებებით.
თუმცა, მიუხედავად ემანსიპირებული ქალისა, მუშათა კლასად მაინც მამაკაცი აღიქმება საბჭოთა პლაკატზე.
„სოვოკს“ ახსოვს (და თუ არ ახსოვს, ხშირად მოაგონებენ პლაკატებითაც), რომ „ვინც არ მუშაობს ის არ ჭამს“.
ასეთია საბჭოთა კავშირისა და იმდროინდელი პლაკატის პროპაგანდა - ახალი აღთქმიდან ამოდის; კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლიდან თესალონიკელთა მიმართ და სსრკ-ს 1918 წლის კონსტიტუციაშიც იყო ასახული.
მხატვრებმა - ა. ლეკომცევმა, ე. მოროზოვსკიმ და ო. სტაიკოვმა უცნაურად გამოხატეს პლაკატზე პავლე მოციქულის სიტყვები - წითელ ფონზე რგოლზე ასხმული კოვზი და ჩაქუჩი; კოვზი, როგორც ჭამის და ჩაქუჩი, როგორც სასჯელის სიმბოლო (12); ანუ, ვინც

არ მუშაობს, ის არა მხოლოდ მშიერია საბჭოთა კავშირში, არამედ განწირულია სიკვდილით დასჯისთვისაც.
მაგრამ არსებობს ორი სახეობის მუშახელი საბჭოთა რეალობაში - ვინც ბოლომდე იხარჯება და ვინც ზედაპირულად აკეთებს საქმეს... აქ ჩაქუჩი საჭირო აღარაა, მაგრამ როგორც საბჭოთა პლაკატი გვიმტკიცებს - „როგორც მუშაობ, ისე გამოიმუშავებ“ (13)...
ანუ, ვინც იხარჯება, მეტად უფასდება შრომა.
პლაკატზე მშრომელი მხიარული და ლაღია, თვითკმარი; ნაკლებად მშრომელი კი - სევდიანია; თან სახეზე აწერია ცუდი საბჭოთა მოქალაქის კვალი - წითელი ცხვირი, სიგარეტი და ნაიარევი სახე. თუმცა, რაც ძალიან უცნაურია, გამრჯე კაცი ფერადია, ზანტი კი შანელის შავ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი.
როგორც ვხედავთ, საბჭოთა იდეოლოგიაში შრომა არა მხოლოდ უფლება იყო, არამედ ყველა მოქალაქის მკაცრი სოციალური პასუხისმგებლობა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო დონეზე იყო მხარდაჭერილი.



პლაკატი N8: როგორც მუშაობ, ისე გამოიმუშავებ!

***

არის მოსაზრება, რომ პროპაგანდა ჩლიქებისა და რქების გარეშე ეშმაკის გადაღების ხელოვნებაა.
საბჭოთა კავშირმა და „სოვოკმა“ ეს არაერთხელ დაადასტურეს!
იმ ეპოქის იდეოლოგიური პლაკატები სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ეშმაკის გადაღების ხელოვნება, ოღონდ ისე, რომ არსად გამოჩენილიყო მისი „ჩლიქები“ და რქები!

ბიბლიოგრაფია

Govorkov, V. I. (1964). Как работал – так и заработал [Poster]. University of Southern California Digital Library, Calisphere. https://calisphere.org/

ბოლო ნახვა - 07.09.2026

Lebedinsky, A., & Shukhman, S. (1958). Чтобы строить — надо знать, чтобы знать — надо учиться [To build, one needs to know; to know, one needs to study] [Poster]. Izdatel'stvo “Izobrazitel'noe iskusstvo.”

Mamardashvili, M. (2024). Saubrebi azrovnebaze [საუბრები აზროვნებაზე] (D. Uchaneishvili, Trans.). Akti.

О здоровье, искусстве и хобби. (2023, June 18). Вася Ложкин «Родина слышит». https://sitepensioner.wordpress.com/2023/06/18/вася-ложкин-родина-слышит/

ბოლო ნახვა - 07.09.2026

Posters USSR. (n.d.). Both worked – and earned. Arthive. https://arthive.com/artists/9893~Posters_USSR/works/280626~Both_worked_and_earned

ბოლო ნახვა - 09.09.2026

Russell, B. (1912). The problems of philosophy. Williams and Norgate. https://www.scribd.com/document/383778113/ბერტრან-რასელ-ფილოსოფიის-პრობლემები

ბოლო ნახვა - 09.09.2026

Soviet Art. (n.d.). 1953 poster urges to indicate any flaws in the work (not to mention bribes). https://soviet-art.ru/soviet-poster-artist-viktor-ivanov/1953-poster-urges-to-indicate-any-flaws-in-the-work-not-to-mention-bribes/

ბოლო ნახვა - 06.09.2026

Tabidze, G. (n.d.). Parizis k'omuna [პარიზის კომუნა]. Poetry.ge. https://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/3939.parizis-komuna.htm

ბოლო ნახვა - 06.09.2026

Tsereteli, M. (1990). Eri da katsobrioba: Sotsiologiuri analizi [ერი და კაცობრიობა: სოციოლოგიური ანალიზი]. Tbilisis universitetis gamomtsemloba. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/411842/1/Eri_Da_Kacobrioba_1990.pdf

ბოლო ნახვა - 07.09.2026

Ватолина, Н., & Денисов, Н. (1941). Не болтай! [Плакат]. Википедия. https://ru.wikipedia.org/wiki/Файл:Не_болтай_плакат_1941_года.jpg

ბოლო ნახვა - 07.09.2026

В ближайшие годы догоним США! (1958). [Пропагандистский плакат]. Soviet State Publishing.

Долматовский, Е. (1961). Родина слышит. В Всё только начинается: Стихи и песни. Советский писатель. https://slova.org.ru/dolmatovskiy/rodina-slyshit/

ბოლო ნახვა - 09.09.2026

Долой кухонное рабство! Даёшь новый быт! (1931). [Плакат]. Gallerix. https://gallerix.ru/storeroom/1973977528/N/19674023/

ბოლო ნახვა - 08.09.2026

Кто кого? Догнать и перегнать. (1929). [Плакат]. Википедия. https://pt.wikipedia.org/wiki/Ficheiro:Кто_кого?_Догнать_и_перегнать.jpg

ბოლო ნახვა - 07.09.2026

Лекомцев, А. М., Морозовский, Е. П., & Стайков, Е. С. (n.d.). Кто не работает, тот не ест! [Плакат]. Wikimedia Commons. https://commons.wikimedia.org/wiki/File:Kto-ne-rabotaet.jpg

ბოლო ნახვა - 07.09.2026

Шегаль, Г. М. (1931). Долой кухонное рабство! Даёшь новый быт! [Плакат]. Gallerix. https://gallerix.ru/storeroom/1973977528/N/19674023/

ბოლო ნახვა - 08.09.2026